დანართი №7

ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები[1]

(რეკომენდაციები)

1. ერთობლივი პროგრამის განხორციელებისას რეკომენდებულია:

ა) სტუდენტმა ისწავლოს და/ან განახორციელოს კვლევა პარტნიორ დაწესებულებაში;

ბ) ხელი შეეწყოს უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ასწავლოს და განახორციელოს კვლევა პარტნიორ დაწესებულებაში;

გ) ხელი შეეწყოს პარტნიორი დაწესებულების აკადემიურ და/ან სამეცნიერო პერსონალს ასწავლოს და განახორციელოს კვლევა უნივერსიტეტში;

დ)პარტნიორი დაწესებულების შესაბამისი პერსონალი იყოს საბაკალავრო/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.

2. საერთაშორისო ერთობლივ პროგრამას წარმოადგენს ერთობლივი პროგრამა, რომლის ერთი პარტნიორი მაინც არის უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი.

3. ერთობლივი პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ წარმოდგენილ მოთხოვნათა ნახევარზე მეტს:

ა) პროგრამას ჰყავს ქართველი და უცხოელი თანახელმძღვანელი.

ბ) კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტის (კვლევითი ცენტრის) შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი (მკვლევარი).

გ) პროგრამა შემუშავებულია მისი განმახორციელებელი ქართული და უცხოური უნივერსიტეტის (სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის) მოთხოვნების შესაბამისად.

---

[1]ხელშეკრულების პროექტის შინაარსი განისაზღვრება „ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის სსიპ-განათლების ხარსხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმების წესის“ დამტკიცების შესახებ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 3 თებერვლის #74 ბრძანებით

დ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტის (სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის) პროფესორი (მკვლევარი), რომელიც გარკვეული პერიოდულობით ჩამოდის და ჩვენს სტუდენტებს უკითხავს ინტენსიურ სალექციო კურსს/კურსებს ან მათ სთავაზობს დისტანციურ სწავლებას.

ე) პარტნიორი უნივერსიტეტის (სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის) პროფესორი (მკვლევარი) ხელმძღვანელობს/თანახელმძღვანელობს სადისერტაციო ნაშრომს/ნაშრომებს.

ზ) პროგრამა ითვალისწინებს ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

*ა, გ და ე პუნქტების მოთხოვნათა დაკმაყოფილება სავალდებულოა ერთობლივი საერთაშორისო პროგრამების შემთხვევაში.